საზოგადო საქმეები.

ე რ ო ბ ა

(З Е М С Т В О),

მისი დანიშნულება და წესდება

ნ. ნიკოლაძისა.

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თბილისი, 1882.

ა. დრევიჩის და არ. კალანდადძის სტამბა, ლორ.-მელიქოვის ქუჩ.

I.

სოფელი, მაზრა და სახელმწიფო.

ყოველი სახელმწიფო შემდგარია სხვა და სხვა ნაწილებიდგან, რომელთაც საზოგადოთ მაზრებს ეძახიან და ეს მაზრები, მათი მხრით, სოფლებიდგან არიან შემდგარნი, რომელთაც სხვა-და-სხვა ოჯახების კრება შეადგენს. სოფელში თითოეულ ოჯახს თავისი საკუთარი საჭიროება აქვს, თავისი ადგილ-მამული, თავისი საქმე, შემოსავალი და ხარჯი. ამ ხარჯს გარდა, ყველა ოჯახებს, რომელნიც კი სოფელს შეადგენენ, აწევს კისერზე მთელი სოფლის საჭიროება: ამ ოჯახებმა უნდა იზრუნონ სოფლის საერთო საქმეებზე, უნდა მოაგროვონ და დახარჯონ საერთო ხარჯი, ერთათ უნდა მმართონ მთელი სოფლის საქმეები. ხშირათ თვითონ სოფელსაც აქვს თავისი საკუთარი, ესე იგი, ყველა კერძო ოჯახების საზოგა-

დო ადგილ-მამული, ტყე, სათიბი და სხვ. რომლის შე-
მოსავალი და გამგეობა მთელ სოფელს ეკუთვნის. ამის
მსგავსათ მაზრას, ესე იგი რამდენიმე სოფლების
კრებას, აქვს თავისი საკუთარი საქმეები, მამულები,
საჭიროება და ხარჯი, რომელიც საზოგადოა ყვე-
ლა იმ სოფლების, რომელნიც ამ მაზრას შეადგენენ.

ამისვე მსგავსათ მთელ სახელმწიფოს, რომელიც
შემდგარია რამდენიმე მაზრის კრებიდგან, თავისი საკუთა-
რი საჭიროება, მამულები და საქმეები აქვს, რომელნიც
ეგრეთვე საზოგადო არიან ყველა კერძო მაზრების,რომ-
ლებიდგანაც შემდგარია მთელი სახელმწიფო.

თანახმად ამ განყოფილებისა, ყოველ სახელმწიფოში
საზოგადო გამგეობა იყოფა სამ ნაწილათ:

1) ს ო ფ ლ ი ს (და მის მსგავსათ ქალაქის) გ ა მ გ ე-
ო ბ ა, რომლის დანიშნულება მდგომარეობს სოფლის
საქმეების მმართვაში, სოფლის შემოსავლის შეკრებაში
და მისი საჭიროების დაკმაყოფილებაში;

2) მ ა ზ რ ი ს (გუბერნიის და უეზდის) გ ა მ გ ე ო ბ ა,
რომელიც ყურს უგდებს სოფლების გამგეობებს და თან
იმ საქმეებს მმართავს, რომელნიც შეეხებიან საზოგადო.
ყველა ამ მაზრის სოფლებს, ან რამოდენიმე იმათგანს;

3) ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა მ გ ე ო ბ ა, რომელიც ზედა-
მხედველობს მაზრების გამგეობებზე, და იმას გარდა ყურს
უგდებს და მმართავს იმ საქმეებს, რომელნიც შეეხებიან
საზოგადოთ ყველა ამ სახელმწიფოს მაზრებს ან რამოდე-
ნიმეს იმათგანს.

სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში ეს გამგეობები სხვა-
და-სხვა ნაირათ არიან გამართული, სხვა და სხვა გვარ
უფროსების ან ამორჩეულ პირების ხელში არიან, მაგ-
რამ ყველგან კი საზოგადო გამგეობა მტკიცეთ განსა-

ზღვრული და განყოფილია ამ სამ ნაწილათ, ესე იგი ს ო-
ფ ლ ი ს, მ ა ზ რ ი ს და ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა მ გ ე ო ბ ა თ.

II.

ძველი და ახალი წესი გამგეობისა რუსეთში.

ამ უკანასკნელ დრომდი რუსეთში ეს სამივე გამგე-
ობა ერთ და იმავე კალაპოტზე იყო გამოწყობილი. სახელ-

მწიფო გამგეობა ეკუთვნოდა, როგორც ეხლა ეკუთვნის ხელმწიფე იმპერატორს; მაზრის გამგეობა ებარა მისგან დაყენებულ გუბერნატორებს და სოფლის გამგეობა გუბერნატორისგან დანიშნულ ჩინოვნიკებს. სოფლებში ეს ჩინოვნიკები თავიანთ შეხედულებისამებრ მმართვიდენ სოფლის საქმეებს, და პასუხს უგებდნენ მხოლოთ გუბერ-ნატორებს; მაზრებში გუბერნატორები მმართვიდენ აგ-რეთვე თავიანთი შეხედულებისამებრ და აგრეთვე ეკითხე-ბოდნენ და პასუხს აძლევდენ მხოლოდ უმაღლეს მთავ-რობას... არც სოფლებს, არც მაზრებს არავინ ეკითხე-ბოდა მათი საქმეების მმართვაში, და იმათ არაფერი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, მხედველობის, საჭიროების და სურვილის გამოსათქმელათ. მიღებული იყო, რომ სოფლების, მაზრების და საზოგადოთ მათი მცხოვრებლების მაგიერ ფიქრობდნენ, მოქმედებდნენ და

ზრუნავდნენ დაყენებული ჩინოვნიკები, რომელნიც თა-ვიანთ თავს მამებათ რაცხავდენ, და – როგორც მამები – არა-ფერ რჩევას არ ჰკითხავდენ და ანგარიშს არ აძლევდენ თავიანთ მორჩილ შვილებს, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ გერებს...

ღვთის მადლით, ამ უკანასკნელ დროს ეს მდგომა-რეობა საუკეთესოთ შეიცვალა. როგორც ნათქვამია 1 იანვრის 1864-ის უკაზში, ხელმწიფე იმპერატორმა «საჭიროთ სცნო მიეწოდა ადგილობრივი მცხოვრებლები, მათგან აღრჩეული პირების საშუალებით სამართველოთ თითოეული გუბერნიის და უეზდის საქმეებისა, რონელნიც შეეხებიან ადგილობრივ საჭიროებას და სარგებლობას» და ამ მიზნით სოფლის გამგეობა გარდაეცა სოფლის მცხოვრებლებისაგან აღმორჩეულ მამასახლისებს, მსაჯუ-ლებს და კეთილ-სინდისიანებს, და მაზრის გამგეობა – მაზრის მცხოვრებლებისგან აღრჩეულ დეპუტატების კრებას, რომელსაც ჰქვია ერობის კრება. – (Земское Собрание).

ხელმწიფე იმპერატორისგან დამტკიცებულ 1 იან-ვრის 1864 წ. სახელმწიფო რჩევის აზრში იპოვება ერთი მუხლი, მესამე, რომელშიაც ნათქვამია, რომ შინაგანი საქმეების მინისტრმა უნდა შეკრიბოს ცნობა, ადგილობრივი მთავრობის გამოკითხვით, თუ რა გზით და წესით შეიძლება «ერობის წესდების» გამოყენება იმ მაზრებში, რომელნიც განსაკუთრებითი წესით იმართვიან

(ესე იგი პოლშაში, ფინლანდიაში, ციმბირში და ჩვენ-ში), და წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს თავისი აზრი ამ საგანზე. – მაშასადამე ჩვენ შეგვიძლიან იმედი

ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გვეღირსება ეს ბედნიერება; ამისგამო, და ზოგი სხვა მიზეზითაც, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენი მკითხველები «ერობის წესდებას», მის დანიშნულებას, ხასიათს, საჭიროებას და სარგებლობას. რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ აქ არც იმის გამოკვლევას შეუდგებით, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს წესდება შემოიღეს რუსეთში, არც იმისას, თუ რა მხრით ეთანხმება ეს წესდება სამზ-ღვარ-გარეთელი სახელმწიფოების წყობილებას, და რომლით არა, არც იმისას, თუ რა ნაკლულევანება შეემჩნევა ამ წეს-დებას. ეს საგანი «ჩვენი საქმე არ არის» და არც საჭიროა ჯერ-ჯერობით მისი გამოკვლევა. ჩვენთვის ეხლა-ხანს აუცილებლათ საჭიროა და საკმაოც არის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ის წესდება, რომელიც რუსეთში მოქმედებს აგერ ექვსი წელიწადია, და რომელსაც იქ ეძახიან «ერობის წესდებას 1 იანვრის 1864 წლისა». (Положение о земскихъ учрежденіяхъ 1-го января 1864 года). ამ წესდების გამოკვლევას და გამოკრებით თარგმნას შეუდგებით ჩვენ ეხლა.

მაგრამ, მინემ ჩვენ ამ საქმეს ხელს მოვკიდებთ, ცოტათი დაწვრილებით უნდა გავიხსენოთ, რა და რა საქმე ითვლება სახელმწიფო საქმეთ, და რა და რა სამა-ზროთ, საერობოთ.

III.

სახელმწიფო და სამაზრო საჭიროება და შემო-სავალი.

სახელმწიფო არის კაცების კრება, შემდგარი მარტო იმისთვის კი არა, რომ მთავრებს მიუთვისებიათ ზოგიერ-თი უფლებები და დაუმორჩილებიათ ახლო-მახლო მცხო-ვრებლები და ხალხები. არა. ამ კრების საფუძველი, სი-მაგრე და ნამდვილი, ბუნებითი მიმზიდველი ძალა ის სა-რგებლობაა, რომელსაც ჰპოებენ ერთათ შეყრილი პირები ერთმანეთის დაცვაში, დახმარებაში და ერთათ ცხოვრე-ბაში. ყოველთვის და ყოველგან სახელმწიფოს მიზნათ ჰქონია ადვილათ დაიცვას და ადვილათ აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარია. ამის გამო, ის სახელმწიფო, რომელიც უფრო სინდისიანათ და ნა-მდვილათ, ხეირიანათ ასრულებს ამ თავის დანიშნულებას, ყოფილა უფრო ძლიერათ დამყარებული საზოგადო და-ხმარებაზე და სიყვარულზე, და ის სახელმწიფო კი, რო-მელსაც ეს მიზანი დაუვიწყნია, მიახლოვებულა თავის დაღუპვას, გადადგომია თავის მოვალეობას.

მაშასადამე, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა დ ა ი ც-ვ ა ს თ ა ვ ი ს ი წ ე ვ რ ე ბ ი, ესე იგი კერძო პირები,

და გ ა უ ა დ ვ ი ლ ო ს მ ა თ ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ესე იგი
მისცეს თვითეულს მათგანს ის, რისაც მოხერხება იმას
თავისთავად ვერ შეუძლია. – როგორც წინეთ ნათქვა-

მი იყო, ეს მოვალეობა განყოფილია სამ ნაწილათ: რისიც
მოხერხება არ შეუძლია თითოეულ კერძო პირს, – მაგა-
ლითათ პატარა გზის ან ხიდის გაკეთება ერთ სოფ-
ლიდგან მეორემდი – იმას აკეთებს მთელი სოფელი ერ-
თათ; და ამ ნაირათ რისიც გაკეთება და მოხერხება მთელ
სოფელს შეუძლია, ის მის მოვალეობას შეადგენს, რო-
გორც კერძო პირის მოვალეობაა ის, რისიც მოხერხება
იმას თვითონ მარტო-ხელა ან თავის ოჯახის დახმარებით
შეუძლია. – ამას გარდა არის ბევრი ისეთი საჭიროება,
რომლის დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს ვერც მთელი
სოფელი: მაგალითათ ავიღოთ ერთი ქალაქიდგან მეორემ-
დი, ვთქვათ ქუთაისიდამ თფილისამდი, გზის გაჭრა, ან
ხეირიანი საავათმყოფოს ანა და სასწავლებლის გამართვა.
ამ ნაირი საჭიროების დაკმაყოფილება არის მთელი მაზრის
მოვალეობა, თუ ეს მაზრა იმოდენათ შემძლე და მოხერ-
ხებულია, რომ თავის თავათ შეუძლია ამ მოვალეობის
შესრულება. და რისიც შესრულება და დაკმაყოფილება არ
შეუძლია არც კერძო პირს, არც სოფელს, არც მაზრას,
– იმ საჭიროების დაკმაყოფილება აწევს ვალათ სახელ-
მწიფოს. ესე იგი ყველა მაზრების კრებას. ამ ნაირია,
მაგალითათ, დიდი გზების გაყვანა, შუათანა და უმაღ-
ლესი სასწავლებლების გამართვა, სწავლის წინ-წაწევა, მა-
ზრების გამაგრება და დაცვა მტრისგან, და სხვ. და სხვ.
და სხვ.

    რასაკვირველია, რომ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას

სჭირია საშუალება, ფული, შრომა და ძალა. ამისგამო
სოფელი თავისი მხრით ჰკრებავს ყველა კერძო პირები-
დგან როგორც ფულს, ისე პიროვან შრომასაც, როცა
სოფელს რაიმე საჭიროების დაკმაყოფილება სჭირდება.
ამ ნაირათვე ჰკრებს ფულს და შრომას მაზრაც, ყველა
სოფლებიდგან, იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად,
რომლებიც მაზრის საზრუნველი არიან და სახელმწიფო,
თავის მხრით, ჰკრებს როგორც ფულს, ეგრეთვე პირად
შრომას და ხალხსაც, იმ მოვალეობის ასავსებლათ, რო-
მელსაც ადევს იმაზედ ყველა მაზრების საზოგადო საჭი-
როება. – თანახმად ამისა, გარდასახადიც სამ ნაირია:

    1) სასოფლო, 2) სამაზრო (Земскій сборъ)
და 3) სახელმწიფო (сборъ на государственныя по-
требности).

    იმ წესდებებით, რომელნიც გამოიცენ 1863-ში და 1

იანვარს 1864 წელსა, ადგილობრივ მცხოვრებლებს მიენიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამორჩევით შეკრიბონ სასოფლო და სამაზრო გარდასახადი და იზრუნონ იმ საჭიროების დაკმაყოფილებაზე, რომელიც აწევს სოფელს და მაზრას. ჩვენ გვსურს ავწეროთ აქ ის წესდება, რომელიც შეეხება სამაზრო საჭიროებების მმართვას, საზოგადოებისაგან ამორჩეული პირების ხელით.

IV

რაზე უნდა იზრუნოს ერობამ?

«ერობაზე წესდების» მეორე მუხლი აი რა და რა საქმეებზე ზრუნვას ანდობს ერობის-ამორჩეულ პირებს:

1) ერობის ქონების, კაპიტალის და შეკრებილი ფულის მმართვა;

2) აშენება და შენახვა შენობების, რომელნიც ერობას ეკუთვნიან, და იმ გზების, რომელნიც მის ხარჯით უნდა ინახებოდენ;

3) ზრუნვა ხალხის სიშიმშილისგან დამცველ ღონისძიებებზე;

4) მმართვა ერობის ქველის მოქმედი განწყობილებისა (საავათმყოფო, საღარიბო, მოხუცებულების შემფარველი სახლებისა და სხვ.) ღონისძიება მათხოვრობის მოსასპობლათ, ზრუნვა ეკლესიების გაშენებაზე;

5) მმართვა იმ საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან ურთიერთის საშუალებით ცეცხლის ზიანის მოსპობას;

6) ზრუნვა ადგილობრივი ვაჭრობის და წარმოების გავრცელებაზე;

7) წილის მიღება (განსაკუთრებით შემოსავალ-გასავალში, და კანონით დაწესებულ სამზღვრებში), ზრუნვაში სახალხო განათლებაზე, სახალხო სიმრთელეზე და საპყრობილეებზე.

8) დახმარება პირუტყვის ჭირის დასწრობაში და პურის, ან სხვა მცენარეების დაცვაში სხვა და სხვა სავნებელი ფრინველებისგან და პირუტყვებისგან;

9) აღსრულება იმ მოთხოვნილებების სამოქალაქო და სამხედრო მთავრობისა, რომელიც კანონით ერობამ უნდა გარდაიხადოს და მონაწილეობა ფოჩტის გარდასახადში;

10) განაწილება იმ სახელმწიფო ფულის გარდასახადისა, რომლის განაწილება გუბერნიებს და უეზდებს შუა მიენდობა ერობას, თანახმად ამ საგანზე გამოცემული კანონების ან ცალკე განკარგულების, დამტკიცე-

ბულის ხელმწიფე იმპერატორისაგან;

11) დანიშვნა, განაწილება, მოკრეფა და დახარჯვა, «საერობო გარდასახადის წესდების» თანახმად, ადგილობრივი გარდასახადისა, გუბერნიის ან უეზდის საერობო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ;

12) წარდგენა უმაღლეს მართებლობასთან, გუბერნიის მთავრობის საშუალებით, ცნობების და აზრისა იმ საგნებზე, რომელნიც შეეხებიან გუბერნიის ანუ უეზდის ადგილობრივ სარგებლობას და საჭიროებას, და თხოვნა ამ საგნებზე, ეგრეთვე გუბერნიის მთავრობის საშუალებით. წარდგენა, უმაღლესი მმართველობის ან გუბერნიის მმართველის მოთხოვნაზე, იმ ცნობების, რომელნიც შეეხებიან საერობო პატრონობას;

13) კენჭის ყრა სხვა და სხვა პირების ამოსარჩევათ საერობო სამმართველოებში და დანიშვნა ფულების ამ სამართველოებისთვის;

14) ის საქმეები, რომელნიც მიენდვებიან ერობას

თანახმათ ცალკე კანონების, წესდებების და განკარგულებებისა.

V.

ერობის კრება და გამგეობა

ყოველ უეზდში უნდა იკრიბებოდეს, წელიწადში ერთხელ, ოქტომბრამდი, უეზდის საერობო კრება (уездное земское собраніе), რომელიც შესდგება ამორჩეულ პირებისგან. იმათი რიცხვი სხვა და სხვა უეზდებში სხვა და სხვაა, და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი პირია უეზდში იმისთანა, რომელსაც დეპუტატების ამორჩევის უფლება აქვს.

ეს კრება გაგრძელდება ათი დღე.

დანარჩენ დროს საერობო საქმეს მმართავს უეზდის საერობო გამგეობა (уездная земская управа), რომელსაც ამოირჩევს ამ საგნისთვის საერობო კრება, და რომელიც შესდგება, სამი პირიდგან – ექვსამდე.

ყოველ გუბერნიაში უნდა იკრიბებოდეს, აგრეთვე წელიწადში ერთხელ, იანვრამდი, გუბერნიის საერობო კრება (губернское земское собраніе), რომელიც შემდგარია უეზდების კრებისგან ამორჩეული დეპუტატებისაგან. ეს კრება გრძელდება ოცი დღე.

დანარჩენ დროს გუბერნიის საერობო საქმეებს მმარ-

თავს გუბერნიის კრებისაგან ამორჩეული გუბერნიის საერობო გ ა მ გ ე ო ბ ა (губернская земская управа).

თუ ვინიცობაა უეზდის კრებამ ათ დღეში, და გუბერნიისამ ოც დღეში თავიანთი საქმეები ვერ მოასრულეს, მათი თხოვნით შეიძლება ვადის გაგრძელება: უეზდის კრების გაგრძელება შეუძლია გუბერნატორს, და გუბერნიისა – შინაგანი საქმეების მინისტრს. ამავე მინისტრს ნება აქვს დანიშნოს კრება უდროო დროსაც, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

უეზდის და გუბერნიის გამგეობა კი მუდამ უნდა მოქმედებდეს.

კრების წევრებს არც ჯამაგირი ეძლევათ, არც ჯილდო, მაგრამ კრებას შეუძლია შესაფერი ჯამაგირი და ჯილდოც დაუნიშნოს უეზდის და გუბერნიის გამგეობის წევრებს.

უეზდის და გუბერნიის კრებაში თავ-მჯდომარეთ, საზოგადოთ, უეზდის და გუბერნიის მარშლები არიან – გამგეობებში კი თავ-მჯდომარეს ნიშნავს თვითონ კრება, რომელიც ირჩევს გამგეობას..

VI

ამომრჩევლები და ამორჩეულები

ერობის კრებას შეადგენენ სამ გვარი დეპუტატები:

1) ადგილობრივი მამულის მეპატრონეების ამონარჩევნი;

2) ქალაქების საზოგადოებისგან ამორჩეულნი;

და 3) გლეხ-კაცების საზოგადოების ამონარჩევნი.

ამორჩეულ პირათ შეუძლია იყვეს ყოველი პირი, რომელსაც კი ამორჩევის დროს კენჭი აქვს.

კენჭი არ ერგება შემდეგ პირებს: ვინც ოცდა ხუთ წელზე ნაკლებია ხანით; ვინც სისხლის სამართალში იმყოფება; ვინც საზოგადოებისაგან გამორიცხული არის, და ვისაც ქვეშე ვრდომლობის ფიცი არ მიუღია.

კენჭი ერგება, თუ ზემოხსენებული დაბრკოლება არ ექნათ, შემდეგ პირებს:

მამულის მეპატრონეებთაგან:

1) ვისაც უეზდში აქვს საკუთარი მამული დაწესებული სივრცის (ყოველ უეზდისთვის ცალკე ზომაა დაწესებული, 200 დესეტინიდან დაწყებული 800 და მეტიც; რაც უფრო ძვირობს რომელიმე უეზდში მიწა-წყალი, მით უფრო ნაკლებს ზომას თხოულობს კანონი);

2) ვისაც აგრეთვე უეზდში სხვა რამე უძრავი ქონება აქვს, ან გამართულება, ქარხანა, და სხვ., ღირებული თხუთმეტ ათასს მანეთათ მაინც;

2) ვისაც ზემოხსენებულ ზომაზე ნაკლები მამული აქვთ უეზდში, მაგრამ ამ ზომის მეთორმეტედი კი მაინც, იმათ შეუძლიანთ ერთათ შეიკრიბონ, და ერთი კენჭი იქონიონ.

ქალაქების საზოგადოებისაგან:

1) ვისაც სავაჭრო მოწმობა აქვს;

2) ვისაც ქალაქის მიწაზე ქარხანა, ფაბრიკა ან სხვა გაწყობილება აქვს, მწარმოებელი, ან სავაჭრო, რომლის აღებ-მიცემა წელიწადში ექვსი ათას მანეთს მაინც შეადგენს;

3) ვისაც ქალაქის მიწაზე უძრავი საკუთრება აქვს, დაფასებული: იმ ქალაქებში, სადაც ათი ათას კაცზე მეტი სცხოვრობს – სამი ათას მანეთათ მაინც; სადაც ორი ათასიდგან ათი ათასამდე კაცი ცხოვრობს ათას მანეთათ მაინც, და ყველა დანარჩენ ქალაქებში – ხუთას მანეთათ.

სოფლის მცხოვრებლებისაგან:

ყოველი სოფლის საზოგადოება ირჩევს თავის წრისგან სანდო პირებს, და როცა სხვა-და-სხვა სოფლებისგან ამორჩეული სანდო პირები იკრიბებიან, ისინი თავიანთი მხრით ირჩევენ დეპუტატებს საერობო კრებაში.

საერობო კრებაში ამორჩეულ დეპუტატს კანონი აძლევს სახელათ «ხ მ ო ვ ა ნ ი» (Гласный). ეს სახელი ჰქვია ყველა წევრებს, როგორც უეზდის, აგრეთვე გუბერნიის კრებისას. ხმოვანების რიცხვი თითოეული გუბერნიის და უეზდისთვის ინიშნება უმაღლესი მმართებლობის გადაწყვეტილებაში, იმავ დროს, როცა გამოდის ერობის დაწესების ბრძანება.

VII

ერობის უფლება და მოქმედება.

ერობას მინიჭებული აქვს თითქმის სრული უფლება ადგილობრივი შინაური გამგეობისა. კანონი თვითონ იხსენიებს იმ ორიოდე საგანს, როცა ერობის გადაწყვეტილებას ეჭირება გუბერნატორის ან შინაგანი საქმეების მინისტრის ნების დართვა. დანარჩენ საქმეებში ერობა სრული მეუფეა თავისი მოაზრების და მოქმედების,

რასაკვირველია კანონიერ კალაპოტში.

ვინიცობაა თუ გუბერნატორი წინააღმდეგი გახდა ერობის რომელიმე გარდაწყვეტილებისა, იმან უნდა დაუბრუნოს ერობას მისი გადაწყვეტილება, და წინა დაუდოს მისი ხელახლავ განხილვა. თუ ერობა ხელ-მეორეთ უწინდელ გადაწყვეტილებას დაადგა, მაშინ ეს გარდაწყვეტილება აღსრულებაში უნდა მოიყვანონ და გუბერნატორს მისი დაბრკოლება არ შეუძლია, თუ მეტის მეტი შესანიშნავი შემთხვევა არ იქნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იმას შეუძლია თავისი საკუთარი პასუხის-გების ქვეშ შეაჩეროს ერობის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და წარუდგინოს საქმე სენატს. – სწორეთ იმნაირათვე უნდა მოიქცეს შინაგანი საქმეების მინისტრი, როცა ის რასმეში ვერ დაეთანხმება ერობას.

აქედან ნათლათ სჩანს, რომ ერობას შეუძლია მოქმედება; იმას ბევრათ უფრო მეტი უფლება აქვს, ვინემ უწინდელ დეპუტატებს და სხვ. ამ უფლებას ჩვენ უფრო

კარგათ მაშინ დავაფასებთ, როცა მოვიხსენიებთ, რომ ერობას შეუძლია გუბერნის ან უეზდის სახელით ვალი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებათ, ან აქციების გამოცემით, შეუძლია გამოსცეს წესდება და სხვა და სხვა სახელმძღვანელო დარიგება ერობის სამსახურის ასრულებაზე, შეუძლია მიაწევინოს უმაღლეს მმართებლობამდი თავისი სურვილი და მოაზრება ადგილობრივ მდგომარეობაზე და საზოგადოთ ყველა იმ ღონისძიებებზე, რომელნიც მისთვის მიცემულ უფლებას გადააჭარბებენ.

ყველა ადვილათ მიხვდება, რომ ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან. და ეს მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება, მარტო ეს, – ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ! – გვამაღლებს კაცების ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვევს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას.

VIII

ერობის გავლენა რუსეთში.

როგორც წინეთ იყო ნათქვამი, ჯერ ექვსი წელიწა-

დიც არ არის, რაც ერობა შემოღებულია რუსეთში;

ზოგიერთ გუბერნიებში ის მარტო შარშან და შარშან-
წინ შემოიღეს, ზოგიერთებში კი ჯერაც შემოღებული
არ არის. მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც აღმოჩნდა, რომ ეს
დაწესებულება მეტის მეტათ სასარგებლოა საზოგადოების-
თვის, თუ თვითონ ეს საზოგადოება წინ დახედვით და
გონიერად ირჩევს თავის წარმომადგენლებს ხეირიანი
კაცების ხელში, როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი,
ერობა ხალხის გამბედნიერებელია, მართალია, იმ ზომით
კი არა, როგორითაც შეიძლება ამისი სურვა, მაგრამ
შესამჩნევათ კი მაინც.

ჯერ ერთი ეს, რომ უწინდელ დროში რუსეთში
ერობის გარდასახადი იკრიბებოდა და იხარჯებოდა უგ-
ზო-უკვლოდ, დაუზოგველათ. – არავის არ ეკითხებო-
და, მართლა ამდენი უნდა გარდიხადოს მაზრამ, თუ ნა-
კლები; არავის იმის დარდი არ ჰქონდა, რომ ცოტაო-
დენი რამ მაინც მოერჩინა დახარჯვისაგან. და ის პირები,
რომელთაც ერობის ფული და საქმეები მთავრობისგან მი-
ბარებული ჰქონდათ, გაუკითხავათ აკმაყოფილებდენ ყო-
ველ-ნაირ მოთხოვნილებას, რომელსაც კი წარმოადგენდა
სამოქალაქო ან სამხედრო ნაწილის მთავრობა. და თუმცა
ხარჯი დიდი და უზომო იყო, თუმც გარდასახადის მო-
კრება თითქმის ნიადაგი იყო, მაზრის კეთილ-დღეობას
ამისგან არაფერი ხეირი არ ეტყობოდა: საავადმყოფოე-
ბი, სასწავლებლები, პურის მაღაზიები, გზები და სხვა
სასარგებლო საგნები მეტის-მეტათ სუსტ მდგომარეო-

ბაში იყვნენ; სასოფლო და სამაზრო ბანკებზე, საექიმო
ნაწილის ხეირიანათ გაწყობაზე, ფულების შეგროვებაზე
სხვა და სხვა საჭიროებისათვის, ხომ არავის სიზმარშიაც
არ მოსჩვენებია და ყოველი კერძო პირი დასცქეროდა ამ
სამწუხარო მდგომარეობას გულ გრილათ და უნებურათ,
თითქო ეს საქმე თვითონ იმას და მის მახლობლებს არ
შეეხებოდა...

ეხლანდელ მდგომარეობაში კი ჩვენ სულ სხვა ნაირ,
უფრო სასიამოვნო სურათებს ვხედავთ. ჯერ ერთი ეს,
რომ გარდასახადს რომ იხდის ხალხი, იტყობს მაინც,
თუ რაში და რისთვის იხდის, სად და ვის სასარგებლოთ
მიდის ის ფული, იცის მაინც, რომ მის ფულის დახარ-
ჯვაში ხმა და გავლენა ექნება მის ამორჩეულებს, ესე
იგი თვითონ იმას. ამას გარდა, საზოგადოებას შეუძლია
იმ რიგათ იხარჯოს შეკრებილი ფული, რომ ამითი დააკმა-
ყოფილოს თავისი უპირველესი საჭიროებები, გზა გაუ-
ხსნას თავის შრომას, ხეირიანათ აღზარდოს თავისი

შვილები და სხვ. – რუსეთში, მაგალითად, ერობის ხელშია უთვალავი სახალხო შკოლები, რომლის გამართვას აუვიდა უწინდელ ზომაზე შეკრებილი საერობო გარდასახადი. ეს შკოლები იმ რიგათ არიან განწყობილნი, როგორც მოუნდომებია თვითონ ერობას და მათში ასწავლიან ერობისგან მოძებნილი და დაქირავებულნი მასწავლებლები. – შკოლებს გარდა, ერობას ზედამხედველობა აქვს სახალხო პურის მაღაზიებზე, რომლის

დანიშნულება ისაა, რომ შიმშილის, ან პურის ნაკლულევანების დროს ხელი გაუწყოს გაჭირვებულ ხალხს და ასესხოს იმას დასათესი მარცვალი ან საჭმელი პური. შიმშილის დროს ერობას სხვა უფლებაც აქვს: იმას შეუძლია მიიღოს შინაგანი საქმეების სამინისტროდან ნაღდი ფული იმ ფონდიდან, რომელიც დანიშნულია დამშეულების დასახმარებლათ; ნება აქვს იყიდოს სადაც მოუხდება იმ ფულით პური, და გასცეს ის სესხათ თავის მაზრის მცხოვრებლებზე. როცა რუსეთში 1868 წ. შიმშილი იყო, ერობამ ამ ნაირი მოქმედებით ბევრ ალაგას მშვენიერი სახელიც დაიმსახურა და ჩინებული საქმეებიც მოახდინა.

ერობას ეკუთვნის, გზის გარდა, სახალხო სიმრთელეზე ზრუნვა. რუსეთში ერობა იმით ასრულებს ამ მოვალეობას, რომ იაფ ფასიან აფთიაქებს აწესებს დიდრონ სოფლებში და იქედან იაფათ აძლევს წამლებს შეუძლებელ მცხოვრებლებს, ღარიბებს კი სულ მუქთათ და უფასოთ ურიგებს. ამავე სოფლებში ერობას დაყენებული ჰყავს თავის ხარჯით ექიმები და ფერშლები, რომელნიც მოვალენი არიან უექიმონ უფასოთ ყველას, ვისაც კი იმათ მაზრაში და წრეში ექიმობა სჭირდება. რუსეთის ერობა ჩინებულათ და გონიერათ ირჩევს ექიმებს იმ ყმაწვილებში, რომელნიც ყოველ წელიწადს სწავლას ასრულებენ უნივერსიტეტებში და მედიკურ აკადემიაში, და მშვენიერათ სარგებლობს მათი ჯერ კიდევ დაუვიწყარი ცოდნით. –

მაგრამ ერობის მოქმედება მარტო ამ წვრილმანი საქმეებით როდი თავდება. რადგანც «ერობის წესდება» ერობას მაზრის პატრონობის გამგეობას აძლევს – რუსეთის ერობა სხვა და სხვა გუბერნიებში ჩინებულ ბანკებს აწესებს (საერობო ბანკებს), რომლის შემწეობით მაღლდება და ვრცელდება ადგილობრივი მეურნეობა და აღებ-მიცემა. რადგანაც ამ ბანკების დამფუძვნებელი და გამგებელი არის მთელი მაზრა, იმათ მეტი ნდობაც და უფლებაც აქვთ, და ამის გამო, თუმც მათ დასაწყისში ძლიერ

ცოტა ფული აქვთ, მაგრამ მათი აღებ-მიცემა რამდენიმე მილიონამდი აწევს, და მათი სარგებლობა და ხეირი ორ-ჯერ-სამჯერ, ხანდისხან მეტჯერაც აჭარბებს წინ დაწინ გამოღებულ საბანკო ფულს. ზოგიერთი საერობო ბანკების მოქმედება ისე საგანგებო და ჩინებულია, რომ ეხლა მთელ რუსეთს ისინი მაგალითად აქვს მიღებული. ამ ნაირია, მაგალითად, ხერსონის საერობო ბანკი, რომელმაც სუ-ლი ჩაუდგა ხერსონის ადგილის მეპატრონეებს და მცხო-ვრებლებს.

საერობო ბანკის გაწყობაზე აქ ჩვენ ბევრს არას ვი-ტყვით, ამიტომ, რომ ამ მოკლე ხანში ამ საგანზე ცალ-კე წიგნის დაბეჭდვას ვაპირებთ, შესახებ ჩვენი ბან-კებისა.

რუსეთის ერობამ ერთ საქმეში კიდევ ისახელა თა-ვი: რაკი ის ხედავდა, რომ რომელიმე მაზრის კეთილ დღეობა და სარგებლობა იმაზეა დამყარებული, გადის თუ

არა იმ მაზრაში რკინის გზა და აქვს თუ არა მაზრას ხეირიანი გზები, ადგილობრივი ნაწარმოების გასაზიდვე-ლათ, და რაკი ერობა ხედავდა, რომ არც რკინის და არც უბრალოდ გზები ზეციდან დამზადებული არ ცვინდებოდ-დენ მაზრაში, იმან იკისრა ერობის ხარჯით გზების გა-ვლება, როგორც უბრალოების, ეგრეთვე რკინისა. რასა-კვირველია, რომ, ჩვენში არ იყოს, ამ საქმისთვის რუ-სეთის ერობას საკმაო ფული არ მოეძიებოდა. მაგრამ, რადგანაც კანონი იმას საერობო გადასახადის მოხმარე-ბის უფლებას აძლევს, ერობამ აი როგორი უბრალო და გონიერი ოსტატობა იხმარა, რკინის გზის გასავლებათ. იმან გამოძებნა ფულის პატრონები, და უთხრა მათ: გა-ავლეთ ამ ქალაქიდგან ამა და ამამდი რკინის გზა, და ამუ-შავეთ თქვენთვის ამდენი და ამდენი წლის განმავლობაში; მოგვეცით ჩვენ მაშინ ანგარიში, და თუ ამ გზამ თქვენ სარგებლობა არ მოგცესთ, ჩვენ, ერობა, მოვალე ვიქნე-ბით შეგივსოთ თქვენი სარგებელი ისე, რომ თქვენგან დახარჯულ ფულებზე წელიწადში ხუთი პროცენტი შე-მოგდიოდესთ. – ამისთანა გ ა რ ა ნ ტ ი ა ს ძლიერ ხში-რათ აძლევს თვითონ მართებლობაც; ერობამ ამ გარან-ტიის მიცემით ძლიერ ბევრ ფულის პატრონებს გააბედ-ვინა რკინის გზის გაშენება იმისთანა ადგილებში, სადაც უიმისოთ თავის დღეშიაც არ გაშენდებოდა რკინის გზა. და რადგანც გზები შემოსავლიანი გამოდგენ და გამშენებ-ლებს საკმაო სარგებელი მისცენ, ერობას თითქმის არ-

სად ფულის გამოღება არ დასჭირდა, დაპირებული სარ-გებლის შესავსებლათ.

ზოგ ალაგას, ერობა თვითონაც შეუდგა რკინის გზის შენებას, ან და მმართებლობისგან გზის გაშენების ნებ(კონცესსია) აიღო, და მერმე გაყიდა ეს კონცესსია ფულის პატრონებზე. ანა და კიდევ რკინის გზის მშენებლების ამხანაგათაც გახდა. ერთი სიტყვით, რუსეთში ერობამ თავი გამოიჩინა, უმეტეს ნაწილათ, როგორც ხეირიანმა და გონიერმა მეპატრონემ, რომელიც კეთილ სინდისიანათ და მოხერხებით ცდილობს და კიდეც ახერხებს ხალხის დასხნას ორი მისი საგანგებო და სანიადგაო მტრისგან: სიღარიბისგან და უმეცრებისგან.

IX.

დასკვნის მაგიერ.

მაშ, იმედი ვიქონიოთ, რომ როცა ჩვენ ქვეყანასაც ეღირსება ერობის დაწესება და, როცა საერობო საქმეების მმართვა თვითონ ჩვენ ხელში გადმოგვეცემა, ჩვენი საზოგადოებაც იმნაირივე სარგებლობას გამოიტანს ამ დაწესებისაგან, და იმნაირივე გონიერებით მოიხმარს იმას, როგორც რუსეთის საზოგადოება. ერობის დაწესებამდი რუსული საზოგადოება ეხლანდელ ჩვენ საზოგადოებაზე უფრო წინ არ იდგა; ის მაშინ ყველას იმნაირივე მოუხერხებელ და გაუნათლებელ საზოგადოებათ მიაჩნდათ, როგორათაც ეხლა სთვლიან ჩვენ საზოგადოებას. – როგორც ყოველგან, ამ საქმეშიაც ვიიმედოთ, დამტკიცდება, რომ მოხერხება და განათლება მოსდევს სიმართლეების გავრცელებას, და არა წინ უსწრებს მას.